პარასკევი. 1917წ. ქრისტეშობისთვის 1 (14) № 265
წელიწადი მესამე

პარასკევი. 1917 წ. ქრისტეშობისთვის 1 (14) № 265
ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კონტორა

გაზეთის ფასი პირველ გიორგობისთვიდან წლის დამლევამდე 6 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. (ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე— 30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. სასწრაფო განცხადებანი უნდა წარდგენილ იქმნას არა უგვიანეს $1\frac{1}{2}$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის

ქალაქ ტფილისისათვის.

1) ქალაქის მილიციას.

ბრძანებანი

ქალაქის მილიციის უფროსს განკარგულება ეძლევა გააძლიეროს დაცვა. ის მილიციონერი, რომელიც პოსტს თავისი ნებით გაანებებს თავს, დათხოვნილ იქნება და სამი თვით ციხეში იქნება დაპატიმრებული.

მილიცია წითელ-გვარდიელებთან და სამხედრო პატრულებთან სრული თანხმობით იმოქმედებს.

2) წითელი გვარდია.

წითელი გვარდია შეადგინა მუშათა და ჯარისკაცების დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ქ. ტფილისში რევოლიუციონურ წესრიგის დასაცავად.

მოვუწოდებთ ქალაქ ტფილისის მოქალაქეთ, მთავრობის, საზოგადო და კერძო ყველა დაწესებულებებს სრული ნდობით მოეპყრას და ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს გვარდიას.

ყველა ის დაწესებულებები, რომლებშიაც წითელ-გვარდიელები ითვლებიან სამსახურში, მოვალენი არიან ჯამაგირი აძლიონ გვარდიელებს მთელ იმ ხნის განმავლობაში, რაც უკანასკნელნი ქალაქში რევოლიუციონურ წესიერების დაცვას ემსახურებიან.

3) საზოგადო წესიერება.

მილიცია და წითელი-გვარდია მოვალენი არიან: ა) დაუყოვნებლივ დააპატიმრონ ყველანი, ვინც ხალხს მოუწოდებენ დარბევისათვის, ძალადობისათვის, ვინც ერთი ეროვნების წარმომადგენლებს მეორეზე ასისინებენ და თავისი მოქმედებით საზოგადო წესიერებას არღვევენ და ბ) ნება არ მისცენ ქუჩებში და მოედნებზე კრებები და მიტინგები გამართონ.

4) ქალაქ ტფილისის სახლის პატრონებს.

ყველა სახლის პატრონებს ევალებათ:

1) დაუყოვნებლივ შეუდგნენ ეზოებისა და ქუჩების დაწმენდას; ჭიშკრები ყოველ დღე უნდა დაჰკეტონ ღამის 12 საათიდან დილის 6-დე.

2) დააყენონ სახლების წინ მეეზოვეები, რომლებიც მილიციის ყოველგვარ განკარგულებებს უნდა ასრულებდნენ.

ვინც ამ სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს, დაისჯება: პირველად 3 თვემდე ციხეში დატუსაღებით, ხოლო მეორედ—მთელი მხარიდან იქნება გაძევებული.

5) ქალ. თბილისის ვაჭრებს.

თბილისის ყველა ვაჭრები მოვალენი არიან მტკიცედ დაიცვან სასურსათო კომიტეტის მიერ დაწესებული ნიხრი.

ნიხრის დარღვევაში, საქონლის გადამალვაში და საქონელზე, განსაკუთრებით პირველი საჭიროების ფასების ხელოვნურად აწევაში შენიშნულ ვაჭრებს ან დააპატიმრებენ ან და ამიერ-კავკასიიდან სრულიად გაასახლებენ, იმის და მიხედვით თუ რა დანაშაულს ჩაიდენს.

6) სასურსათო კომიტეტს.

ქალაქის სასურსათო კომიტეტს ევალება გადახედოს ნიხრს და ბაზრის საერთო პირობებს შეუფარდოს იგი.

„კუდების" შესამცირებლად სასურსათო კომიტეტს ევალება ენერგიული ზომები მიიღოს პურისა და პირველ საჭიროების სხვა საგნების გასასყიდ ადგილების გასამრავლებლად. ქალაქში პურის შემოზიდვის შესახებ ცნობები ყოველ დღე უნდა აცნობოს აღმასრულებელ კომიტეტს.

ქალ. თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

1917 წ. გიორგობისთვის 27. ქალ. თბილისი.

მეუღლე მარიამ ფერიოთანის ასული შვილები სუსანა, სოფიო, ნინა, ივანე, ევგენი გრიგოლი და პეტრე ფაფახოვები, რძალი პელაგია ვასილის ასული ფაფახოვისა და სიძე დავით პარმენის ძე მაჭარაშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

პავლე პეტრეს ძე

ფაფახოვი

პანაშვიდი ყოველ დღე 6 საათზე მიცვალებულის ბინაზე ჩერქეზიშვილის ქ. 96. შაბათს 2 დეკემბერს, დილის 10 საათზე მიცვალებულს წაასვენებენ რომის კათოლიკეთა პეტრე პავლეს ეკლესიაში ნიკოლოზის ქუჩაზე. დაკრძალვა იმავე დღეს.

(1—900—1)

ამიერ-კავკასიის ბანკში

(თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5)

იყიდება

ბაქოში დაარსებულ ქართულ ნავთის სამრეწველო-სააქციონერო საზოგადოების აქციები 1000, 3000, 5000, 10000 და 25,000 მანეთიანი

დაწვრილებითი ცნობები მიიღება: თბილისში, იმავე ბანკში, ბაქოში—საზოგადოების კონტორაში ვორონცოვის ქ. № 4. თ—766—39

მოქალაქენო დინჯად!

დაიცავით სიწყნარე!

თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს

აღმასრულებელ კომიტეტის ცნობა.

გიორგობისთვის 30 დილის 11 ს.

გუშინ, გიორგობისთვის 29-ს, დილით აღმასრულებელმა კომიტეტმა არსენალს 2000 ვინტოვკა მოსთხოვა. იარაღი სჭირდებოდათ იმ წითელ გვარდიისათვის, რომელიც კომიტეტის განკარგულების ქვეშ იმყოფებოდა. არსენალში მყოფებმა კომიტ. მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს. მაშინ აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასწყვიტა თავისი მოთხოვნილება თვითვე აესრულებინა. ამ მიზნით იმავ დღეს საღამოთი შეიარაღებული ძალით დაიჭირა არსენალი, თუმცა იარაღი სრულებით არ უხმარნიათ. მეციხოვნეთა ბოლშევიკურ ნაწილებმა ეს იწყინეს და 218 სათადარიგო პოლკის მეოთხე ბატალიონის ას-ორმოცდა-ათი კაცი წუხელ არსენალთან მივიდნენ და დღეს, გიორგობისთვის 30-ს დილით უწესო სროლა დაიწყეს. ამ ბოლშევიკურ ჯგუფს, რომელიც აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულების წინააღმდეგ მოქმედებდა, მხარი არავინ დაუჭირა და ისინი იძულებულნი გახდნენ თავთავიანთი ყაზარმები მიენახათ. მეციხოვნეთა შორის სრული სიწყნარეა.

ბოლშევიკები და კომისარიატი.

ტფილისის „იზვესტია" სწერს: ვსთქვათ, რომ სხვაგან ყველგან ბოლშევიკები მართალნი იყვნენ, როცა ძალა-უფლებას ხელში იგდებდნენ ძალით აცხადებდნენ თავის დიქტატურას. ტფილისში რას სწადიათ მათ, რომ გამოსვლას აწყობენ. ბურჟუაზიის ძალმომრეობა აქ არას დროს არ ყოფილა. რევოლიუციის პირველ დღეებიდან ძალა უფლება სულ დემოკრატიის ხელშია. რაც ბოლშევიკების მთავარ კრიზისს შეადგენს ზავის საკითხში, ამიერ-კავკასიის კომისარიატმა გადაწყვეტით გადადგა გაბედული ნაბიჯი. ბოლშევიკებს არავითარი ზნეობრივი უფლება არა აქვთ იმის სათქმელად, ვითომ ამიერ-კავკასიაში ძალა-უფლება არა-დემოკრატიულ ელემენტების ხელში იყოს.

აღმასრულებელი კომიტეტი და ბოლშევიკები

იმ დღიდან, რაც თბილ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა თბილისში სამხედრო წესები გამოაცხადა ბოლშევიკების გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩი"-ში ყოველ დღე იწერება, რომ ასეთი ზომები არაფრით არ არის გამოწვეული, იგინი არ ჰფიქრობდნენ და არც ჰფიქრობენ შეიარაღებულ გამოსვლას და სხვა.

ამის საპასუხოდ ხსენებული კომიტეტი აცხადებს:

ეს რამოდენიმე ხანია, ჩვენ ცნობები მოგვდიოდა, რომ ბოლშევიკები ჯარის ნაწილების გამოსვლისათვის მოუწოდებდენ და ამ მიზნით იგინი ეწეოდენ საიდუმლო აგიტაციას. უმთავრესათ ბოლშევიკებმა თავი წამოჰყვეს ყარსის პოლკის მოსვლის შემდეგ. აქ ღამ-ღამობით კრებებს მართავდენ, სადაც ორატორი ბოლშევიკები მოუწოდებდენ ჯარის კაცებს გამოსვლისათვის. ამავე დროს იგინი გზავნიდენ დელეგატებს ჯარის სხვა ნაწილებში, უმეტესათ არა რუსთა, რომ დაეთანხმებით ეს ნაწილები ან მათი მხარი დაეჭირათ და უკეთუ ბოლშევიკთა ნაწილები გამოვიდოდენ, ნეიტრალიტეტი დაეცვათ.

ბოლშევიკების სამზადისი

ხუთშაბათს, 23 ნოემბერს ბოლშევიკების ლიდერები, ბაქოდან ჩამოსულ შაუმიანის მეთაურობით, შეეკითხენ პირდაპირი მავთულით პეტროგრადში სტალინს, გამოვიდეთ თუ არა იარაღით თბილისში. პასუხი არ მიუღიათ. ამის გამო მესამე დღეს შაუმიანი და მისი ამხანაგები ხელ ახლა შეეკითხენ პეტერბურგს და გაუმეორეს ხუთშაბათის ბარათი; ამ ბარათში ნათქვამია: ჩვენ ომი გამოუცხადეთ ამიერ კავკასიის კომისარიატს, როგორც კონტრ რევოლიუციონურ მთავრობას. გარნიზონის უმეტესობა ჩვენს მხარეზეა. ჩვენ შეგვიძლია ჯარის შემწეობით ვაიძულოთ კომისარიატი და ვალეგალიზიროთ სახალხო სახალხო კომისრების მთავრობა, გთხოვთ დაუყოვნებლივ ხელმძღვანელობას". ამ დეპეშის შემდეგ ცხადი შეიქმნა, რომ ბოლშევიკებს გადაწყვეტილი ჰქონდათ გამოსვლა. მათი შეიარაღებული გამოსვლის თავიდან ასაცილებლად აღმასრულებელმა კომიტეტმა მეორე დღეს სამხედრო წესები გამოაცხადა თბილისში.

ფოსტა-ტელეგრაფის კომისარის გადადგომა.

ფოსტა-ტელეგრაფის კომისარმა ი. მამულიამ ამიერ-კავკასიის კომისარიატს სამსახურიდან გადაყენება სთხოვა.

ბოლშევიკურ გაზეთების დახურვა.

თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებით დაიკეტა გაზეთი „კავკასკი რაბოჩი"-ი და „ბრძოლა".

მაღაზიების დახურვა.

გუშინ ყველა მაღაზიები და სავაჭრო საწარმოვო სახლები დაკეტილი იყო.

მოწაფეების დათხოვნა.

გუშინ სასწავლებლიდან მოწაფეები დაითხოვეს.

მდგომარეობა თბილისში

არაჩვეულებრივი მოძრაობაა. არსენალის მხრით სროლაა, ხან ჯახაჯუხად, ხან კიდევ კანტი-კუნტად. ხალხი შედარებით არ ჰღელავს, ცნობის მოყვარეობით ირჩევენ ისეთს პუნქტებს, საიდანაც შეიძლება თვალყურის დევნება. მაღაზიებს ჰკეტავენ. ათას რამეს ამბობენ. „ბოლშევიკები"... „მენშევიკები"... „არსენალი ამის... ან და იმის ხელშია".. „დაჰხოცეს"... „არავინაც არ დაუხოცნიათ"... ფანტაზია უფრო მუშაობს, ვიდრე სინამდვილე. სასახლის წინ ავტომობილების გრიალია... ჯარებს აწყობენ... ყველა ეროვნების მილიციონერები აქეთ მოისწრაფვიან. ეტყობა, ყველა თანაბრადაა მოსულნი, ტფილისი დაიცვან, თავიდან აიცილონ სისხლი... ზარბაზნები გამოაქვთ... ჯავშნიან ავტომობილებს სათანადო ადგილს აჩერებენ. ხალხს იწვევს თოფებით მოგრიალე ჯარისკაცები თუ მილიციონერები. ყოველდან სიცოცხლეა, სიცოცხლე თავდაცვისათვის. ნაშუადღევია. სროლა შესწყდა, მაგრამ მოძრაობა მაინც არ წყდება. „ყარსელები მოვლენ და"... მოვლენ? იქნება რამე? არავინ იცის, ეს კია, რომ ტფილისს ასეთი სიხალისე და სიმარჯვე აკლდენს [illegible] ხლის დღერ ს..

კრების გადადება

ქალაქების დელეგატთა ყრილობა გუშინ აღარ გაიხსნა და დღეს, 12 საათზე, გაიხსნება ქალაქის საბჭოს დარბაზში.

გაზეთები არ გამოსულა

გუშინ „კავკაზ", „ნაროდნაია სვობოდა" და „ფაიქარი" არ გამოსულან.

უკანასკნელი დეპეშები

ხმოლნი ინსტიტუტში არ მალავენ რომ შეიძლება საზავო მოლაპარაკება ჩაიშალოს.

—

მთავარი ბანკი აღარ მოქმედობს.

—

მინსკში რევოლუციონურმა პოლკმა პოლონელ ლეგიონებს სროლა აუტეხა. არიან დაჭრილ-დახოცილნი.

—

როსტოვიდან პირდაპირი მავთულით იტყობინებიან: ხიდის ჩაშლა ტყუილია. სამხრეთისაკენ მატარებლებს უშვებენ. ეკატერინეს გზაზედაც მოქმედებაა. ქალაქში სროლა შესწყდა.

ნახიჩევანის განაპირა მიდამოებში სროლაა.

—

ბოლშევიკები დიდ საჩუქარს ჰპირდებიან მას, ვინც დამფუძნებელ კრებამდე კერენსკის შეიპყრობს. ამიტომ ყოველ დღე ხმოლნიში რამდენიმე „კერენსკი" მიჰყავთ.

რუსული პრესა

სომხები და ზავი

გაზეთ „ნაროდნაია სვობოდა"-ში № 138 ი. სემენოვი სწერს:

დაშნაკელების პარტია წინად რევოლუციური პარტია იყო, ახლა კი იგი სამთავრობო პარტიად გადაიქცა. ახალ სარბიელზე პირველ ნაბიჯის გადადგმისთანავე მან სახელმწიფოებრივი სიბრძნე გამოიჩინა, შეეკრა რა ლენინის დროებით ზავით ოსმალთა ჯარის ნაწილს. ამით რა თქმა უნდა მოკავშირეებთან დადებული ხელშეკრულება დაარღვია. ჩემ შეკითხვაზე თუ როგორ უნდა შეურიგოს ეს მოღალატობრივი აქტი საფრანგეთ-ინგლის-ამერიკასთან მის ძველებურ დამოკიდებულებას, მთავრობის ორივე ოფიციოზი; სოციალისტ-რევოლუციონერთა „ზნამია ტრუდა" და დაშნაკელების „ჰორიზონ"-ი იმ წამსვე გამომეპასუხნენ. სოციალისტ-რევოლუციონერები ამბობენ, რომ კომისარიატმა მხედველობაში მიიღო მოკავშირეთა ინტერესები და პირობად დაუდო „მოთხოვნილება", რომ დროებით ზავს მოკავშირეთათვის არავითარი ზიანი არ მიეყენებინაო. „ჰორიზონი" კი სწერს: „დიდი ხანია რაც ზ. სემენოვი ასე გადმულიანდა, რომ ომის გაგრძელება ჰყურს, მაშინ როდესაც ჩვენ ფაქტიურად საბრძოლველი ფრონტი აღარ გვაქვს, როდესაც მეომარი თვით სტოვებს ასპარეზს, როდესაც ჯარს აღარ აქვს არც საჭმელი, არც სამოსი და არც სამხედრო მასალა. ასეთ პირობებში თვით გულადი კადეტებიც ვერ შესძლებენ ომის გაგრძელებას არამ თუ ჩვენ". საკვირველია, რომ ერთიდა იმავე მთავრობის ორი ოფიციოზი სულ სხვა და სხვას ამბობენ. ერთი სწერს, ჩვენ წაუყენეთ მოთხოვნილება" ესე იგი ჩვენ გვაქვს ის ძალა რომელზედაც ამ მოთხოვნილებას ვამყარებთ, ხოლო მეორე იმავ დღეს გვაჰკივის, რომ ჩვენ არავითარი ძალა გვაქვსო. თუ მდგომარეობა ისეთ სამწუხაროა, როგორც მთავრობის „ჰორიზონ"-ი გვიხატავს, მაშინ ჩვენი დროებითი ზავი ჩვენი სურვილის შედეგი კი არ ყოფილა, არამედ სრული კაპიტულაცია. ამასთან „ჰორიზონ"-ი სწერს: დაშნაკელთა კომიტეტი, მიუხედავად იმისა, რომ იგი მენშევიკებთან და სოციალისტ-რევოლუციონერებთან მუშაობას სრულიადაც არ უარჰყოფს, რომ ოსმალეთის სომხეთის საკითხი საერთაშორისო ხასიათის საკითხია. დაშნაკელთა კომიტეტი ამის თაობაზე არც საფრანგეთ-ინგლის-ამერიკასთან სწყვეტს კავშირს. მაგრამ ასეთ შემთხვევაში, თუ მართლა ჩვენ ისეთი უბედურება დაგვატყდა თავს, როგორც „ჰორიზონს"-ს ჰგონია, ამის შესახებ მოკავშირეთა დაუკითხავად ოსმალთა გენერალთან კი არ უნდა მოელაპარაკნათ არამედ მოკავშირეებთან, მათთან ერთად უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება და აი შემდეგ დაეწყოთ მოლაპარაკება ოსმალებთან მოკავშირე კოალიციის სახელით, და არა ასე სეპარატიულად, როგორც ეს ჩაიდინა „დაშნაკცუტუნ"-ის პარტიამ სასახლის ამხანაგებთან ერთად. თქვენ ამბობთ, რომ „არ სწყვეტთ კავშირს არც საფრანგეთთან და არც ინგლის-ამერიკასთან", მაგრამ ნუ თუ თქვენ არ იცით ამ სახელმწიფოთა ნოტა, რომელიც გიორგობისთვის 10-ს მათ გენერალ დუხონინს გადასცეს და რომელშიაც ეწერა, რომ არის „რუსეთის მხრივ ყოველივე დარღვევა ლონდონის ხელშეკრულებისა მეტად მძიმე შედეგებს გამოიწვევს დამრღვევლისათვის"-ო. მერე, თქვენ როგორ გგონიათ თქვენი საქციელი განხეთქილებას არ აგდებს თქვენსა და მოკავშირეთა შორის? ლონდონის ხელშეკრულება სწორედ სეპარატიულ ზავისა და დროებით სეპარატიულ ზავზე ლაპარაკობს. თქვენ კი დროებითი სეპარატიული ზავი შეჰკარით. ეს კიდევ ცოტა... შეჰკარით რა სეპარატიული დროებითი ზავი თქვენ მომხდარ ფაქტის შემდეგ, აცხადებთ მოკავშირეთა საყურადღებოდ, იხსენიებთ იმ „პირობებს" რომლებიც ვითომ თქვენ დაუდეთ ოსმალოებს, თუმცა არავის თქვენგანს არავისთვის პირობები არ დაუდვია და ეხლავე სწერთ

ოფიციოზში, რომ ჩვენ არც ფრონტი და არც არავითარი სამხედრო ძალა არა გვაქვსო. არ ვიცი ეს თქვენი უსირცხვო თავის გდება თუ თქვენივე საქციელის თქვენ მიერვე შეუგნებლობა.

მაინც და მაინც ორივე შემთხვევაში „მძიმე შედეგებზე" ფიქრი გმართებთ"...

კავკასიის სამთო მრეწველობა

(დ. გ. აფხაზის სიტყვიდან, რომელიც თბილისში მომხდარ კავკასიის მთის მრეწველთა ყრილობაზე წარმოსთქვა *).

ეხლა შევჩერდები იმ დახმარებაზე, რომელიც საქარხნო თათბირმა აღმოუჩინა სამთო მრეწველობას სხვა და სხვა მასალების მიღებაში ამ წლის 8 თვის განმავლობაში დაწყობილი პირველ იანვრიდან პირველ ენკენისთვემდე. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ მივაღებინეთ სხვა დაწესებულებათაგან და ადგილებიდან:

სათბობი მასალა	2.183.640	ფუთი
ლითონი	74.643	„
სურსათი და საკვები	139.550	„
ასაფეთქებელი მასალები	4.111	„
სხვა და სხვა მასალები	6.310	„
	2.418.174	„

ამის გარდა ჩვენ სამთო მრეწველობას დახმარებას უწევდით ფულის შოვნით. ამას წინ დ. ლაგირის ქარხანამ გაგვიცხადა: რამდენიმე დღის შემდეგ ფინანსიური რესურსები შემოგველევა და იძულებული ვიქნები მუშები დავითხოვოო. მუშების დათხოვნას, რა თქმა უნდა ქარხნის დაკეტვა მოჰყვებოდა. ჩვენ რა თქმა უნდა ეს მიუღებლად მიგვაჩნდა, რადგან ხსენებულ ქარხნის დაკეტვა დიდ დანაკლისად ჩაითვლებოდა. ჩვენ დაუყოვნებლივ განვიხილეთ ეს საკითხი და მისთვის ფულის შოვნა გადავწყვიტეთ. ბევრი ვეცადეთ და მრავალი საარტილერიო გამგეობის კომიტეტის ბიუროსთან ერთად როგორც იყო იქამდის მივედით, რომ ქარხანას 400 ათასი მანეთი სესხათ უშოვნეთ და 500 ათასი მანეთიც შევპირდით.

ეხლა გავიხსენოთ კავკასიის სამთო მრეწველობისათვის სხვა და სხვა საჭირო მასალათა გადმოზიდვის „წესრიგები", „ნარიადები"-ს) რომლებიც ჩვენ მოვითხოვეთ უშუალოთ იმ დაწესებულებებს, რომელთაც ტრანსპორტის მოწყობა ევალებოდათ. 1916 წლის ენკენისთვის პირველიდან 1917 წლის ენკენისთვის პირველამდე ჩვენ ვითხოვეთ წესრიგები ლიანდაგით გადასატანად:

სათბობ მასალის . .	196,558	ფუთ.
ლითონის.	77,606	„
სურსათის	62,545	„
საამშენებლო მასალის.	527,761	„
ასაფეთქებელ მასალის.	868	„
ხე-ტყის	263,129	„
სხვა და სხვა მასალის.	2 085,169	„
ს უ ლ . . .	3 213,635	ფუთ.

იქ სადაც ჩვენ პირდაპირ არ შეგვეძლო მიგვემართნა რათა სხვა და სხვა მასალების გადასატანად წესრიგი აგვეღო, მაშინ ჩვენ სხვა გზით ვცდილობდით, რომ ხსენებული წესრიგი მაგვეღო. ასე მიმდინარე წლის 8 თვის განმავლობაში სამთო მრეწველობას 223,153 ფუთ ტვირთის გადმოტანაში დავეხმარეთ.

სულ კი რვა თვის განმავლობაში, დაწყობილი პირველ იანვრიდან ენკენისთვის პირველამდე, სამთო მრეწველობას დავეხმარეთ 4.612,265 ფუთ ტვირთის მიღებაში. დასასრულ ნება მიბოძეთ კიდევ რამდენიმე ციფრები მოვიყვანო სურსათის სისრულისათვის მე მინდოდა აღმენიშნა თქვენს წინაშე სამთო დაწესებულებათა საშუალო თვიური საჭიროება უმთავრეს მასალებში. ვწუხვარ კი რომ ამის შესახებ სრული ცნობები არ მოგვეპოვება მაგრამ ხუთმა შესანიშნავ სპილენძის მდნობელ ქარხანამ, სახელდობრ: კვარცხანისამ, კოლბაბეკისამ, უკერჩისისამ, ალავერდისამ და სიუნიკისამ სრული ცნობები მოგვაწოდა. ჩვენ შეგვიძლიან მათ შესახებ მაინც მოვიყვანოთ ცნობები.

წლიურად ხსენებულ საწარმოვო დაწესებულებებს სჭირდებათ:

სათბობი მასალა:		
1) მაგარი	610,000	ფუთი
2) სითხე	340,000	„
ლითონი:		
1) შავი	70,000	„
2) წითელი ტრუხი	2,000	„
ასაფეთქებელი მასალა:		
დინამიტი	6,000	„
კაპსულები	1.500,000	ცალი

სურსათი პირველ ენკენისთვემდე 5403 მუშებისათვის და მშრომელ მცხოვრებლებისათვის:

1) ფქვილი	291,762	ფუთი
2) შაქარი	7,293	„
3) საკვები დაახლოვ.	170,000	„

ახლა ვიკითხოთ: შეუძლიან თუ არა საქარხნო თათბირს ეს მოთხოვნილებანი თავთავის დროზე დააკმაყოფილოს? გულახდილად უნდა გიპასუხოთ არსებულ პირობებში საქარხნო თათბირს მათი დაკმაყოფილება არ შეუძლიან. ამისათვის აუცილებელი ერთი ყველას გამაერთიანებელი მტკიცე ორგანო იქნება მახლობელ მიზნებად მას დაესახება.

1) ნამდვილ საჭიროების შეფასება;

2) რესურსების გონივრულად განაწილება და

3) კვების ახალ წყაროთა გამონახვა.

გავათავე და დასასრულ ნება მომეცით მოგაგონოთ დიდი ინგლისელის სიტყვები: „თქვენ მთავრობას სთხოვთ? და მერე განა თქვენ თვითონ არა ხართ მთავრობა"? დიახ, თქვენ თვითონ ხართ მთავრობა. ამ მწუხარე ჟამს ყველა თქვენგანი მოწვეულია ახალ სახელმწიფოებრივ და სამეურნეო შენობის ასაშენებლად. შეკავშირდით, შეჰქმენით ავტორიტეტული ორგანო და ჩვენ ერთად ვივლით.

---

*) იხილე გაზ. „საქართველო" 264.

მთავარ-ეპისკოპოსი დიმიტრი (აბაშიძე)

(მოგონება)

1903 წ. მაისის გასულს წ. კ. საზოგადოების მუზეუმში მიველ, იქ დამხვდნენ რუსეთიდან ჩამოსული ყ-დ სამღვდელო კირიონი და განსვენებული პროფ. ა. ხახანაშვილი. ლაპარაკობდნენ სვანეთზედ, რაკი იმ ხანათ ხახანაშვილი ემზადებოდა სვანეთში სამოგზაუროთ. ყ-დ სამღვდელო კირიონმა მიბრძანა—„რა კარგ დროს მოხველ, აი საშა სვანეთში აპირობს გამგზავრებას, უთუოთ უნდა წახვიდე და მოიარო იქაურობა". ხახანაშვილსაც იამა, ივნისის 15 შემატყობინა—1 ივლისს ქუთაისში უნდა შევიკრიბოთ და წავიდეთო. მე 19 ივნისს დავეთხოვე გურიის ეპისკოპოსს ბენიამენს, თუმცა ეგზარხოსის ალექსის რუსეთში ყოფნის გამო საეგზარხოსოს გამგეობა ალავერდელ ეპისკოპოზს დიმიტრის ჰქონდა მინდობილი. სვანეთიდგან ჩამოვედი თბილისში ივლისს. ამ დროს ჩემი სამგზავრო წერილები უკვე იბეჭდებოდა „ივერიაში". შურის ციხის არე-მარეს აღწერაში მე შევეხე მაქსიმე აღმსარებლის მურში ტყვეობასა და მისს სიკვდილსა. ის წერილი რომ წაიკითხა, მაშინვე დამიბარებინა. გულმა მიგრძნო რომ სასიამოვნო არა იქნებოდა რა. შეველ თუ არა, მაშინვე შემომიტია ბატონკაცურათ: „შენ როგორ გაჰბედე ჩემ დაუკითხავათ უბილეთოთ სხვა ეპარქიაში წასვლა?" მოვახსენე—მე ბილეთი მქონდა.— „ვისი?"—ბენიამენმა მეთქი.— „როგორ, ჩემთან არ იკადრე დათხოვნა"?—არა, ისე მოხდა მეთქი. შემიყვანა კაბინეტში და მომიგო. იქამდის გაფოთდა, რომ „дьяволъ" მიწოდა. მე ვეღარ მოვითმინე და მოვახსენე—სატანა მეთქი და ისიც დავუმატე: ჩემს ეპისკოპოსად არ გიგულებ მეთქი. მეორე დილით დამიბარებინა. მიველ. ძალიან მხიარულად დამხვდა, სულ იცინოდა—ხითხითებდა. მე შუბლ შეკრული ვიდექ. მომკიდა ხელი, მოჰყვა ხუმრობას. მე ვუპასუხე—მოწმენდილ ცაზე ჭექა-ქუხილი საიმედოს არას წარმოადგენს: ან გუშინ რა ნახე, ან დღეს მეთქი. გავემზადე წამოსასვლელად, მაგრამ გამიბა ლოლიობა შენს წერილებს დაუბეჭდავ ცალკე, დაგაჯილდოვებ, შევრიგდეთო. თურმე ეგონა მე ვეჩივლებოდი...

მეტად [illegible] იყო.

II

1899 წ. მე ვიპოვე ძველ ხელნაწერებში ახალი ცნობა: „23 მაისს დღეს (დღესასწაული) ქართველთა განათლებისა და ხსენება წმ. ნინოსი და მირიან მეფისა". ამ დღესასწაულს საკუთარი ტროპარ-კონდაკი აღმოსწერე და ცალკე წერილი უძღვენ „ივერიაში"—შემდეგ. ერთმა უკეთურმა ქართველმა მღვდელმა (ვოსტორგოვის დარიგებით) სინოდში აფრინა საიდუმლო დასმენა—„ყ-დ სამღვდელო კირიონი და მღვდელი პ. კ—ლი დღესასწაულებს უწესებენ ქართველ წმიდანებსა, ტროპარ-კონდაკებს უთხზავენ და ჰბეჭდავენ საქვეყნოთაო". ამისი საიდუმლოთ გამოძიება თურმე სინოდმა დიმიტრი ეპისკოპოზს მიანდო, როცა კირიონს უკვე თავი უკრეს რუსეთში და დიმიტრი თავის გამარჯვებასა დღესასწაულობდა. ერთმა მეგობარმა გამიფრთხილა—საქმე ესეა და შენ იციო...

ერთხელ მკათათვის ცხელ დღეში დიმიტრი ეპისკოპოზი ეტლით მომადგა კარს, თან ლოთის უზარმაზარი გულდანი მოიტანა. მე მენიშნა დაბეზღება, დავიწმუნდი, რომ 23 მაისს ეძებდა. მე მოვახსენე დიმიტრის—„რასაც ეძებ, მანდ ვერ იპოვი მეთქი". დამაშტერა თვალები და მკითხა—რას ეძებ?—23 მაისს,—ვუპასუხე. მეტად გაჰკვირდა—შენ რა იცი, ვინ, ვინ გითხრაო?"—მობრძანდი ჩემთან და გაჩვენებ მეთქი. იმ ხანათ დეკანოზი ი. მირიანაშვილი შინ დამხვდა. გამოვიტანე ხელნაწერი სადღესასწაულო და ვაჩვენე და პირკატა ეცა. მე დავუმატე—თუნდა სამგან კიდევ გაჩვენებ, თუ ინებებ მეთქი. ასე გათავდა მანქანება დიმიტრი ვოსტორგოვისა.

III

1904 წ. ივლისში ქუთაისში—გელათში ვიყავ და აქ ერთმა გასამართავად მყოფმა ლეჩხუმელმა მღვდელმა თხოვნით მიშველა რამე გაჭირებაში. მღვდელი გვარათ აბაშიძე იყო. მე ვურჩიე მარტვილში ენახა დიმიტრი ეპისკოპოსი. იმ ორი დღე კვირაშივე გასწია მარტვილისკენ და არზა მიართვა დაიმედებულმა—ეპისკოპოსის თანამეგვარე ვარ და უარს როგორ მეტყვისო. აგვისტოს 14 დიმიტრიმ აი რა წააწერა მღვდლის ქართულ არზაზედ: „Потребовать прошеніе на русскомъ языкѣ". Еп. Дмитрій. ამ არზამ ერთი თვე იგზავრა კანცელარიებში. ამ ხანში დიმიტრიმ და ვოსტორგოვმა რუსეთისკენ მოუსვეს და ის უბედური არზა ყოვლად სამღვდელო ლეონიდის ხელში მივიდა. 14 თებერვალს 1905 წ. ლეონიდემ ასე დაწერა არზა: „ყ. დ. სამღვდელო დიმიტრი ქართველია და ნუ თუ მან ვერ გაიგო შინაარსი თხოვნისა? სირცხვილია და თავის მოჭრა ეპისკოპოსისათვის, რომ მას გაჭირვებული კაცი მოწყალებასა სთხოვს და იგი კი პოლიტიკანობს. ეპ. ლეონიდი". ხოლო მისმა მდივანმა დაუმატა: „ამისთვის გამოაძევეს იქიდან უშუოთ". (დიმიტრი და ვოსტორგოვი ფოთიდან გაიპარნენ რუსეთში 5 თებერვალს 1905 წ.)

IV

ნ. დურნოვო 1880 წ. შემდეგ საქართველოს ეკლესიის და სამღვდელოების ინტერესებს იფარავდა და საკუთარ, ყოველ კვირეულ გაზეთს „Востокъ"-ს ბეჭდავდა. ბოლოს ს. პეტ. ვედომოსტებში ბეჭდავდა წერილებს. „Церк в. вѣдомост"-ში დიმიტრი ეპისკოპოზი გამოვიდა და ლანძღავდა დურნოვოს ფსევდონიმით „Грузинъ".

დეკანოზი პ. კარბელაშვილი

20 გიორგ.

ერთი თვე მესხეთში

აი, უკვე ერთი თვეა, რაც მესხეთში სოფელ-სოფელ დავდივარ, ძველ მამაპაპეულ ოჯახებში ვატარებ დროს და იქ ბუხრის წინ ვესაუბრები მოხუცებს, რომელთა სიდარბაისლე და დინჯი ლაპარაკი ბევრს ჩვენთაგანს შეშურდებოდა. მათი შეუბღალავი და შეურყეველი წმინდა ქართული აზროვნება, წმინდა ქართული ლაპარაკი, თუმცა ზოგჯერ თათრულ სიტყვებითაა ნარევი. ვიცოდი, რომ ძველად აქ ქართული კულტურა ჰყვაოდა, ხალხი განათლებული იყო და ამ მხარეს განათლების აკვანი ეწოდებოდა, ბრძენი და ფილოსოფოსნი ამ კლდეთა შორის იბადებოდნენ, ღვთისმეტყველნი და [illegible] აქეთ მოღვაწეობდნენ და პირველი მტრის ამოსრებელი ისარიც ამ მხარეს ეცემოდა, რომლისა გამო ხალხი ჰკრა და გაჭირვებას ეჩვეოდა. სული მისი სალკლდეებოდა და უდრეკი ხდებოდა. უდრეკი ხორცით, მოაზროვნე და შორს გამჭვრეტი აზროვნებით. ვიცოდი, რომ წინად ასეთი იყო აქაური ქართველი. ეხლაც დარწმუნებული ვიყავ, რომ ბევრს თვისებას აქაურთა ეხლაც ვპოვებდი ჩამომავალთა შორის. ქართველი არ გადაგვარდებოდა, არ შეირყვნებოდა სულით და გონებით, როგორც ზოგიერთი კუთხენი. ვიცოდი ისიც და გათვალისწინებული მქონდა, რომ მესხეთ-ჯავახეთი უფრო შორს იყო მესხეთ ჩრდილოეთის ჰავიდან და მასთან ახლო იყო ისევ ძველი აღმოსავლეთი... ის აღმოსავლეთი, რომელსაც ძველად საქართველოში შემოჰქონდა, როგორც განათლების ლამპარი ისე მოუსვენარი და გამანადგურებელი ცეცხლი და შხამი.. რომელ მხარესაც ვეწაფებოდით ცხოველმყოფელ კულტურას და დღეს თუ იქიდან ეს არ შემოდიოდა, განათლება აღმოსავლეთისა, არც ბარბაროსობა ჩრდილოეთისა ეხებოდა ასე ადვილად და, მაშასადამე, ცოტათ თუ ბევრად ვნახავდი იმ პირობებში როდესაც ერეკლე მეფემ აქაურთა ლექსით:

გიორგის მეფობა მისცა
„შენ ხმალი კარგა სჭრისა",
საქართველოს ვერ გაუძღვა
აიღო და რუსეთს მისცა...

აი ამ ხნის შემდეგ ბევრი რამ არ უნდა შეცვლილიყო მესხელის ბუნებაში... დღეს იგი დინჯია და უჩქარებელი, შავ ტანისა და კარგათ ჩასხმულ-ჩამოყალიბებული. მაღალი და განიერი შუბლი, ცოცხალი და დამშვიდებული თვალები, სახის სიმშვიდე ქვეყანას გამომეტყველებას აძლევს მის ძველ ქართველის სახეს. სიკეთით მოცული და სიწმინდე სახისა, ასეთი ხომ მარტო იმ ძველი ძველ კედლებზე მინახავს, რომელნიც დღეს უხვათ ძევს საქართველოში.

შორიდან გამოკვეთს, დიდხანს გელაპარაკება, ერთი და იმავეს გაგიმეორებინებს, სიტყვით ხომ არა სჩანს შიგ... რა ჰქნას, მრავალმა გაჭირვებამ და უბედურებამ ასწავლა ის ისტორიულად, მრავალწლოვან განმავლობაში შეუმუშავა მასში ეს თვისება. „ვისაც გულს ჰქონდა სიკეთე ხინჯ ჰქონდა ჩემი მტრობისაო"... გაიგონებ ხშირად, არ ვინ ძმად არ მომკიდებია, ყოველთვის მარტო ვუყავით ამ განაპირა ქვეყანაში, ჩვენი ძახილი ვერავის ესმოდა საქართველოსო"... მართალიც იყო, მეტადრე ამ უკანასკნელ წელთა განმავლობაში საქართველო ამ მხარისაკენ იშვიათად თუ მიიხედავდა, იშვიათად და იქნებ სრულიად არადროსაც გადასტყორცნიდა იმ სიტყვას, რათა მთელ ერთან ერთად ამ ნაწილს და განწყვეტილ ნაწილსაც უნდა სმენოდა აუცილებლად. მაგრამ ეს არ იყო ასე. მესხეთი თავის თავისთვის ჰფიქრობდა და ამ ფიქრით ისევე თავის მთებში ჰკლავდა და იქით [illegible] და დანარჩენი საქართველო [illegible] კარგად ჰქმნიდა ახალ ცხოვრებას ეროვნულს. თუმცა ამ შექმნილს არ ეტყობოდა შემოქმედებითი რამ ძალა, მაგრამ იგი მაინც ეროვნული იყო როგორც ქართველი ერის ნამოღვაწარი, თუმცა წაბარტული, გონჯად გადმოღებული, უხეიროდ და მყიფეთ ჩვენს ცხოვრებაზე.

ორითავ თავისათვის იყო. ერთმანეთს იშვიათად გამოლაპარაკებოდნენ და ამ გარემოებამ შეარჩინა მათ [illegible] და [illegible]. მოყვარეს ადვილად ვერა ჰპოვებდა. ვერავინ მეზობლები ქართულად ეპყრობოდნენ და ლამობდნენ მის სულში ჩაძრომას, მის აღმოფხვრას და განდგომილებას ამ მხარეში, განადგურებას ყოველივე ქართულისა. მაგრამ [illegible] საერთო მტრობითა [illegible] აქაურმა [illegible] და ფრთხილად მოიკიდა, შორს დაიჭირა, მეტადრე მას შემდეგ, რაც მათთან სიავის დროს რამდენჯერმე წაიფორხილა და კინაღამ სამუდამოდ ძირს არ დაეცა. ცხადია, ფრთხილ და [illegible] გამჭრიახი უნდა ყოფილიყო, თავის თავი მეტ მეგობარს ვერვის ჰხედავდა, ზურგს არავინ უმაგრებდა. ჯანსაღი აგებულება კი არ ახასიათებდა მის სალ სულს. იგი ფოლადდებოდა ხრიოკ კლდეებზე არსებობის ბრძოლის დროს, ბუნებასთან ბრძოლაში და დევნაში. ყოველთვის ცდილობდა მისთვის გამოეტაცა, მეტი მიეღო მისგან და ამისათვის მიუვალ მწვერვალზედაც კი ადიოდა, [illegible] საცალფეხო გზას ეძებდა და ჰპოვებდა ისეთ ადგილს, სადაც შეიძლებოდა ერთი სომარის*) მოყვანა. ძველი გუთნით [illegible] და მეტ სისხლს ჰკვებდა [illegible] ცოცხლად დაშრეტილ ძარღვებს... ამასთან ერთად წმინდათ შენახული და დაცული სარწმუნოება ქრისტეს რჯულისა აჭარბებდა მის სულს და გულს, უნერგავს სათნოებასა და სიყვარულს. სარწმუნოება მტკიცეთ მასში დაცული, წმინდა ქართული და ძველებური. ზიზღით იგონებენ და ლაპარაკობენ საფარის მონასტრის ბერებზე, რუსები არიან, მათ რა ღვთისნი სწამთ, ვინ გაიგებსო. ეს კი ნიშანია, რომ როდესაც ამდენი ხნის მძლავრთა გვერდით ცხოვრების შემდეგ ქრისტეს სჯული დაცულია, ეს იმას მოასწავებს, რომ ქართველი ადვილად არ გადაგვარდება, სხვა ერი ვერ დასძლევს თუ ველური და ეშმაკური პოლიტიკა არ აწარმოვა კაცმა. ადვილად არ დაჰკარგავს თავის სახეს და მას შენარჩუნებს მუდამ თუ ყოველთვის უპატრონოდ არ იქნება მიტოვებული. თუ ახალ-ახალ ეროვნულ კულტურის წყაროს დროზე მივაწვდით და ხალხს [illegible] არ დავაშორებთ მშობელ დედის [illegible] ძუძუს რძეს.

(შემდეგი იქნება)

ნ. კიცხოველი.

---

*) სომარი თექვსმეტი ფუთია ანუ იქაური 16 კოდი.

ოქმი

არქიმ. ნაზარისა, დეკ. მარ. ტყემალაძისა და დეკ. ნიკ. თალაკვაძის დავისა

ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი: გ. ქურული, ვას. რცხილაძე, გაბრ. თულაშვილი, სვ. ქვარიანი და თ. სახოკია, რომელთაც დავალებული გვქონდა ერთის მხრით არქიმანდრიტ მამა ნაზარისა და დეკანოზ მამა მარკოზ ტყემალაძისა და მეორეს მხრით დეკანოზ მამა ნიკიტა თალაკვაძის შორის ამტყდარ დავის გარჩევა, ღვინობისთვის 6 ამა 1917 წ. შევიკრიბენით ხსენებულ დავის გასარჩევად დაგვესწრნენ არქიმანდ. ნაზარი და დეკ. მარკოზ ტყემალაძე. არ გამოცხადებულა მოჩივანი დეკ. ნიკიტა თალაკვაძე. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ვას. რცხილაძე, ხოლო მდივნად თ. სახოკია.

კრების გახსნისთანავე თ. სახოკიამ დეკ. ნ. თალაკვაძის სიტყვით განაცხადა შემდეგი: „რადგან მოსამართლეთ ეს საქმე საქართველოს საეკლესიო კრებამდე არ გაარჩიეს და დღეს ზოგიერთი მოსამართლე, როგორც მაგ. გ. ქურული და გაბრ. თულაშვილი საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის წევრებად ითვლებიან, იმათ კომპეტენტურად არა ვსთვლი ჩემი საქმე გაარჩიონ. ვითხოვ საქმე განსახილველად გადაეცეს საკათალიკოსო საბჭოსთან არჩეულ იურიდიულ კომისიას, რომლის გადაწყვეტილებას სავსებით დავემორჩილები. ამ მოსაზრებით ვერც დავესწრები მოსამართლეთა პირველ კრებას".

ამაზე არქ. ნაზარიმ და დეკ. მარკ. ტყემალაძემ მოსამართლეთ განუცხადეს, რომ ისინი მზად არიან დაემორჩილონ დადგენილებას ყოველგვარ სამართლისა და მოსამართლეთა.

მოსამართლეთ მოისმინეს რა სახოკიას განცხადება, დაადგინეს: დეკ. ნიკ. თალაკვაძეს ეთხოვოს თ. სახოკიას პირით თავისი შემონათვალი წერილობით წარმოადგინოს.

20 ღვინობ. 1917 წ. შეიკრიბენით მოსამართლენი: გ. თულაშვილი, ვას. რცხილაძე, სვ. ქვარიანი, თ. სახოკია და მოპასუხენი არქ. მამა ნაზარი და დეკ. მამა მარკ. ტყემალაძე. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ვას. რცხილაძე, მდივნად თ. სახოკია.

წაკითხულ იქმნა თ. სახოკიას მიერ წარმოდგენილი წერილობითი განცხადება მოჩივანის დეკ. ნიკ. თალაკვაძისა, რომელიც არსებითად ეთანხმება 6 ღვინობისთ. მისდ. ავტორის თ. სახოკიას მიერ სიტყვიერ განცხადებას.

გავეცანით რა ატეხილ დავის მასალას [illegible] მიერ გასარჩევად ჩვენდამი მონდობილს და მოვისმინეთ რა დეკ. ნიკ. თალაკვაძის მიერ 20 ღვინობ. შემოტანილი წერილობითი განცხადება დავადგინეთ: თუმცა ჩვენს ღრმა რწმენით არავითარი საბუთი არ იყო ატეხილ დავის გარჩევის ამ სახით შეჩერებისა, მაგრამ დეკ. ნიკ. თალაკვაძის განცხადების შემდეგ, ძალდებულნი შევიქენით მთელი საქმე გადავცეთ საკათალიკოსო საბჭოს. ამასთან ნება დავრთეთ აგრეთვე ამ ოქმის ასლი მივსცეთ დაინტერესებულ პირებს, თავმჯდომარისა და მდივნის მიერ ხელმოწერილი.

თავმჯდომარე ვას. რცხილაძე

მდივანი თ. სახოკია.

რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპელი**

კალენდარი

პარასკევი,
ქრისტეშობისთვის
1

მე 17 დღე ქრ. შობის მარხვისა.

ქართ. წმ. წინასწარმეტყველ ნაომისა.

კათოლ. ედიგია ეპისკ.

სომეხ. ნახატონაქი.

მაჰმად. ჯუმა 28 რ. საფარისა 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. იომში 30 რ. ქისლევ 5678 წ. ქვეყნ. შექ.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მოძრაობა
([illegible])

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ საფ. № 5, 11,32 დილ.
„ სამგზ. № 9, 11.28 დილ.
ხაშურ-ბორჯომის. № 19, 3.17 დღ.
„ „ № 17, 8.19 დილ.
ბაქოსაკენ ჩქარ. № 6, 9.51 დილ.
„ საფ. № 4, 8.46 საღ.
საქარასკენ სამგზ. № 4.8, 12.15 საღ.
„ № 61. 8,18 დილით (მხოლოდ კვირა-უქმით ქსანკამდე).
„ № 63 4, 48 ნაშუადღევზე მცხეთამდე.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან სამგზ. № 10, 8.38 დილ.
„ საფ. № 6, 7,41 საღ.
ხაშ.-ბორჯ. სამგზ. № 20, 7.57 დილ.
„ სამგზ. № 18, 9.50 საღ.
ბაქოდან საფ. № 8, 10 26 დილ.
„ ჩქარ. № 5, 10 20 საღ.
ყარს-ჯულფის ფ. № 3***, 7. 58 დილ.

კახეთის რკინის გზა

თბილისიდან გადის:

სამგზ. № 4, 8.58 დილ.

თბილისში მოდის:

საღამოთი 6.24 წუთ.

ექიმი
დიმიტრი (რამინ) იოსებიძე
ქორდანია
სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ-ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა. გორის ქუჩა № 6, დიდუბე.
თ—879—5

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე.
გუნიბის ქუჩა № 41
ტელეფონის № 14—09

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.
თ—26

ექიმი
ა. დ. კეკელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და [illegible] (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს მიიღებს დილით 8—9-მდე საღამოს 5—7.
ტელეფ. № 17—21.

კბილის ექიმმა
მამულაიშვილი-ხოდნევისამ
განაახლა
ავადმყოფების მიღება.
10—1 დილით, 5—6 საღამოს, გარდა კვირისა.
ოლღას ქუჩა, № 22.
25—823—28

ექიმის თანაშემწე
ვანო საათაშვილი
დღეობრივ ავადმყოფებს ხაღ. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებობა, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ. მისამართი: ფუსანაურის შესახ. № 3, (1-ლი სამოქალაქო ნაწილი).
45—748—თ.